სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 71

2021 წლის 19 მაისი

ქ. თბილისი

„2021 წლის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის, მომზადებისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მათი მონაწილეობის ადმინისტრირების უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2021 წლის 14 მაისის N62 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციულის კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „ფ“ ქვეპუნქტებისა და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N452363, 17.05.2021, N456274, 18.05.2021) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „2021 წლის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის, მომზადებისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მათი მონაწილეობის ადმინისტრირების უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2021 წლის 14 მაისის N62 ბრძანებით დამტკიცებულ „2021 წლის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის, მომზადებისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მათი მონაწილეობის ადმინისტრირების პროცედურები და პირობები“ დანართ №1 -ის (შემდგომში - დანართი №1) მე-2 მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტებში და აღნიშნული პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პირველ თეორიულ ტურში მონაწილეებს ამოცანების ამოსახსნელად მიეცემათ 5 ასტრონომიული საათი და შეფასდება 30 ქულით; დროის გადაცილების შემდეგ ჩაბარებული ნაწერი არ გასწორდება და მონაწილეს დაეწერება შეფასება 0.

3. მეორე - პრაქტიკულ-თეორიულ ტურში მონაწილეებს ამოცანების ამოსახსნელად მიეცემათ 3 საათ ნახევარი და შეფასდება 15 ქულით; დროის გადაცილების შემდეგ ჩაბარებული ნაწერი არ გასწორდება და მონაწილეს დაეწერება შეფასება 0.“

2. შევიდეს ცვლილება დანართ №1-ის მე-13 მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებში და აღნიშნული პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„4. საქართველოს ნაკრები გუნდი, რეზერვისტებთან ერთად, მათემატიკაში მომზადების ეტაპს დაიწყებს 2021 წლის 07 ივნისს და დაასრულებს 2021 წლის 10 ივლისს, დისტანციურ რეჟიმში.

5. საქართველოს ნაკრები გუნდი, რეზერვისტებთან ერთად, ფიზიკაში მომზადების ეტაპს დაიწყებს 2021 წლის 10 ივნისს და დაასრულებს 2021 წლის 14 ივლისს.

6. საქართველოს ნაკრები გუნდი, რეზერვისტებთან ერთად, ინფორმატიკაში მომზადების ეტაპს დაიწყებს 2021 წლის 24 მაისს და დაასრულებს 2021 წლის 17 ივნისს, დისტანციურ რეჟიმში.“

3. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის მთავარ სპეციალისტს ამ ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ჯაბა სამუშია